



საქართველოს პარლამენტი

ინფორმაცია და სტატისტიკური ანგარიში
დოკუმენტბრუნვისა და მოქალაქეთა მიღების შესახებ

(2019 წლის პირველი კვარტალი)

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საემისწარმოების დეპარტამენტი



ინფორმაცია

საქმისწარმოების დეპარტამენტის

საქმიანობის შესახებ

2019 წლის 1 იანვრიდან 31 მარტის ჩათვლით საქართველოს პარლამენტის აპარატის საქმისწარმოების დეპარტამენტის მიერ რეგისტრირებულია 17330 დოკუმენტი. კერძოდ: შემოსული - 6396, შიდა მიმოწერა - 5635, გასული - 3781, სამართლებრივი აქტი - 1518. ასევე, მიღებული და ადრესატისთვის მიწოდებულია 2300-მდე არარეგისტრირებადი კორესპონდენცია (მისალოცი, მოსაწვევი, წიგნი, ჟურნალი და ა.შ.).

შემოსული კორესპონდენციის უმრავლესობა, 1300-ზე მეტი განცხადება, ეხება სხვადასხვა სამართლებრივ საკითხებს. განმცხადებლები ითხოვენ უფლებების დაცვას, ობიექტურ სამართალწარმოებას, საქმეების გადასინჯვას, ხელახალ გამოძიებასა და დარღვეული უფლებების აღდგენას.

ჯანმრთელობის დაცვას და სოციალურ საკითხებს ეხება 1100-ზე მეტი განცხადება. მათი ავტორები ითხოვენ მკურნალობის ხარჯების ანაზღაურებასა და მედიკამენტების შესაძენი თანხების დაფინანსებაში დახმარებას.

დასაქმებას ითხოვს 70-ზე მეტი განცხადების ავტორი.

დაახლოებით 110 განცხადება ეხება განათლებისა და კულტურის სფეროს საკითხებს.

140-ზე მეტი განცხადება ეხება რეგიონულ და ინფრასტრუქტურის საკითხებს. საბანკო და საბინაო პრობლემებთან დაკავშირებით მოგვმართა 70-მდე მოქალაქემ.

გარემოს დაცვასა და ბუნებრივ რესურსებს ეხება დაახლოებით 50 განცხადება.

90-მდე განცხადების ავტორი ითხოვს საჯარო ინფორმაციას.

თითქმის 340 წერილი ეხება პარლამენტის კანონშემოქმედებით საქმიანობას, მოქალაქეები და სხვადასხვა ორგანიზაციები გამოხატავენ მოსაზრებებს და შენიშვნებს.

შემოტანილია 2 პეტიცია:

1. N1-5251/19 „დაცული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

2. N1-5405/19 „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

და 50-მდე საკანონმდებლო წინადადება.

აღნიშნულ პერიოდში, პირადად და სატელეფონო ზარით მოგვმართა დაახლოებით 2600-მა მოქალაქემ, რომელთაც გაეწიათ შესაბამისი კონსულტაცია და საინფორმაციო მომსახურება. ორგანიზებულია 200-მდე მოქალაქის შეხვედრა საქართველოს პარლამენტის წევრებთან და საქართველოს პარლამენტის სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლებთან.

4102 კორესპონდენცია შემოსულია დედაქალაქიდან, 2141 - საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან, 153 - საზღვარგარეთიდან.

პარლამენტში შემოსული წერილობითი მომართვების უმრავლესობა სათანადო შესწავლის შემდეგ გადაიგზავნა ქვემდებარეობით. აღნიშნულ პერიოდში, პარლამენტიდან გაგზავნილია 3800-მდე ელექტრონული დოკუმენტბრუნვის პროგრამაში რეგისტრირებული და 150-მდე სხვა დეპარტამენტებში აღრიცხული დოკუმენტი, ასევე, 70-ზე მეტი არარეგისტრირებადი კორესპონდენცია (სიგელები, მოსაწვევები, მისალოცები და ა.შ.).

არქივის მიერ ელექტრონულ ფორმატში გადაყვანილია და ერთიან მონაცემთა ბაზაში შეტანილია დაახლოებით 6300 დოკუმენტი. მყარ ყდაში ჩაისვა და რამდენიმე ათეულ ტომად აიკინძა 4500 დოკუმენტამდე. გაწეულია 21 საარქივო მომსახურება.

ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდში საქმისწარმოების დეპარტამენტი აქტიურად იყო ჩართული დოკუმენტბრუნვის ახალი ელექტრონული პროგრამის დანერგვასა და სწავლებაში.

დეპარტამენტი ყოველკვირეულად ახორციელებს დოკუმენტების შესრულების მონიტორინგს. პარლამენტის წევრების თანაშემწეებს, ბიუროების თანამშრომლებსა და კომიტეტებში საქმისწარმოებაზე გაპიროვნებულ პირებს, სამსახურებრივ მეილებზე, სისტემატურად ეგზავნებათ ინფორმაცია შესასრულებელი დავალებების შესახებ. ამასთანავე, მოთხოვნის საფუძველზე, კომიტეტებს მიეწოდებათ მათთვის სასურველი ინფორმაცია დოკუმენტბრუნვის თაობაზე.

საქართველოს პარლამენტის აპარატის

საქმისწარმოების დეპარტამენტი




საქმისწარმოების დეპარტამენტი

2019 წლის 1 კვარტალი

ინფორმაცია დოკუმენტბრუნვის შესახებ


(3 აპრილის მდგომარეობით)

რეგისტრირებულია 17330 დოკუმენტი. აქედან 6396 - შემოსული, 3781 - გასული, 5635 შიდა ბრუნვის დოკუმენტაცია და 1518 სამართლებრივი აქტი.



- შემოსული კორესპონდენცია
- გასული კორესპონდენცია
- შიდა დოკუმენტბრუნვა
- სამართლებრივი აქტები


შემოსული კორესპონდენციიდან 5511 დოკუმენტზე მუშაობა დასრულებულია. განხილვის პროცესშია 885 დოკუმენტი.



- მუშაობა დასრულებულია
- განხილვის პროცესშია


თავმჯდომარე, სპიკერატი, აპარატი - 4385

შემოსული კორესპონდენციის თემატიკა






დოკუმენტბრუნვა კომიტეტების მიხედვით




დოკუმენტბრუნვა ფრაქციების მიხედვით





არქივი



შემოსული კორესპონდენციის გეოგრაფია

